ოქმი #13

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 27 აგვისტო, 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მ. კოპალიანი, გ. გუგავა
საკრებულოს წევრები: ე. საღინაძე, მ. ხაბულიანი, ზ. ყურაშვილი, თ. ჭაბუკიანი, ო. ჩაკვეტაძე, თ. ნემსწვერიძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, ნ. ბურჯალიანი, გ. გოგებაშვილი, ზ. მეშველიანი, მ. ჩიქოვანი, გ. გურგუჩიანი, ა. თვარაძე, დ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, ი. ყურშვილი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის (სივრცითი მოწყობისა და ნებართვების გაცემის განყოფილება) და ზედამხედველობის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ.
/რ. ახვლედიანი, ს. გვიშიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.
/რ. ახვლედიანი, მ. ლეთოდიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ლუხვანოში მდებარე 900.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.01.23.176) კერძო მესაკუთრისაგან შესყიდვის შესახებ.
/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 22 დეპუტატი/

დადგენილება:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის (სივრცითი მოწყობისა და ნებართვების გაცემის განყოფილება) და ზედამხედველობის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ.

/რ. ახვლედიანი, ს. გვიშიანი/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა დადგენილების პროექტი ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის (სივრცითი მოწყობისა და ნებართვების გაცემის განყოფილება) და ზედამხედველობის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ისაუბრა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა, განმარტა, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელების თაობაზე მიღებული არ არის შესაბამისი დადგენილება. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 106-ე მუხლის მე-8 ნაწილის და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31მაისის 255დადგენილების დანართის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, რომელიც განსააზღვრავს ელექტრონული დოკუმენტაციის სისტემის მეშვეობით საქმის წარმოებისა და მომსახურების განხორციელების პირობებს.

დადგენილების პროექტის მიღებით მოგვარდება ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და ტექნიკური მხარეები და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

დადგენილების პროექტით განსაზღვრული საქმიანობის წარმოება იგეგმება 2025 წლის სექტემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

/რ. ახვლედიანი, მ. ლეთოდიანი/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი - ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ და აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით 2025 წლის ბიუჯეტის სამი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა განმარტებითი ბარათით:

განმარტებითი ბარათი

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 დეკემბრის #22 დადგენილებით და განისაზღვრა 13469,2ათ. ლარით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 6 თვეში ბიუჯეტში განხორციელდა 4 ცვლილება, რაც ძირითადად განპირობებულია საქართველოს მთავრობის განკარგულებებით. მთავრობის განკარგულებებით თანხის გამოყოფა ხდებოდა სხვადასხვა მიმართულებებით, მ/შორის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელიპ როექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფა“, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, ‘მუნიციპალიტეტისათვის ფინანსური დახმარების გადაცემა“, „დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფა“, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის განაწილებით, რომელიც განისაზღვრა 2416310, ლარით , საიდანაც 2092966,25 ლარი არის საქართველოს მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი და 323343,99 ლარი მუნიციპალიტეტის ძირითადი სახაზინო ანგარიშის ნაშთია. ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი თანხების ასახვით და ბიუჯეტით დამტკიცებული შემოსულობების ზოგიერთ სახეობაში საგეგმო მაჩვენებელების ცვლილებით, შემოსული თანხების ბიუჯეტში ასახვით და პრიორიტეტებზე გადანაწილებით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების გათვალისწინებით შეადგინა 24233,5 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 თვის შემოსავლების გეგმა შეადგენდა 12865,4 ათ ლარს, ფაქტიურად შემოსულია 9733,6 ათ.ლარი, გეგმა შესრულდა 75,7 %-ით. მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 855,0ათ.ლარი ფაქტიურად შემოვიდა 1072,5ათ.ლარი, რაც გეგმის 123,6 %-ია. დღგ შესრულდა 88,5%-ით (გეგმა 6172,4 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 5463,4 ათ.ლარი) .გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 5503,9ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3043,4 ათ ლარი, ანუ გეგმის 55,3%-ია, უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შერადებით გრანტების სახით მიღებული შემოსავლების შესრულების პროცენტი თითქმის გაორმაგებულია (2023 წლის ანალოგიურ პერიოდში იყო 31,5%), მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორცილებლად, გეგმა 383,0ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 353,7 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 92,4 %–ით, კაპიტალური ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 3882,7 ათ.ლარს, ფაქტიურად შემოსულია 1779,1ათ.ლარი, გეგმის 46,2%, სპეციალური ტრანსფერის გეგმა იყო 938,2 ათ.ლარი და ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 910,6ათ. ლარი , რაც გეგმის 97,1%-ია.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 334,1ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 190,8 ათ. ლარი ,გეგმა შესრულდა 57,1 %–ით, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 113,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 78,6 ათ. ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 5,9 ათ. ლარი ფაქტიურად შემოსულია 2,5 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 42,4%–ით, უნდა აღინიშნოს , რომ ამ სახეობაში შესრულება თითქმის ანალოგიურია 2024წლის მაჩვენებელთან, რადგან შემოსავლები ძირითადად ფიქსირდება ბოლო კვარტალში. სანებართვო მოსაკრებლის გეგმა იყო 3,0 ათ.ლარი, ფაქტიური შესრულება არის 0,8ათ,ლარი , რაც გეგმის 26,7 %-ია, შემოსავალი არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელის და მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 32,5 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 14,6 ათ. ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 44,9%–ით, ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავალი გეგმით შეადგენდა 37,5 ათ. ლარს, ფაქტიურად შემოსულია 15,7 ათ. ლარი ანუ გეგმის 41,9 %, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 70,3 ათ.ლარი და ფაქტიურად შემოსულია 64,8 ათ.ლარი გეგმა შესრულდა 92,2%-ით. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავალის გეგმა შესრულდა 171,2 %-ით. (გეგმა 35,0 ათ.ლარი, ფაქტი 60,1 ათ.ლარი) . როგორც შემოსულობების ციფრობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, შესრულების მაღალი მაჩვენებელია ქონების გადასახადში(123,6%),დღგ-ში(88,5%) და არაფინანსური აქტივების კლებაში (171,2%).

შემოსავლების გეგმების შესრულების შესაბამისად იზრდება გადასახდელების დაფინანსება, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა პროგრამების შესრულებას. შესრულების მაჩვენებელი გვაქვს გრანტების ათვისების სფეროში(55,3%). როგორც თქვენთვის ცნობილია, რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო იანვარი-მარტის თვეებში დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებელმა იურიდიულმა პირებმა მომართეს მერიას და ითხოვეს გეგმა-გრაფიკების შეცვლა, შესაბამისად სამუშაოები განახლდა მაისი თვიდან ,თანხების გარკვეული ნაწილი ანაზღაურდა ივნისის თვეში და უმეტესი ნაწილის ანაზღაურება მოხდა ივლისის თვეში.

გაწეული ხარჯებიდან საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 2939,6 ათ. ლარი, დაიხარჯა 2684,1 ათ. ლარი, ათვისებული იქნა 91,3%. საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობისათის გამოყოფილი 768,5 ათ.ლარიდან, ფაქტიური შესრულება არის 702,2ათ,ლარი გეგმის 91,4%-ია, აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 2143,6ათ ლარი, დაიხარჯა 1982,0ათ ლარი, ანუ ათვისებულ იქნა 92,5 %-ით. სარეზერვო ფონდი დამტკიცებული 50,0 ათ.ლარი, თვეში გაიხარჯა 3,7 ათ.ლარი, გეგმის 7,4%.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია უნდა დაფინანსებულიყო 7996,9ათ.ლარით და დაფინანსდა 2808,2 ათ.ლარით, მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა–შენახვა დაფინანსდა 1813,4 ათ.ლარით, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 224,8 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 170,3 ათ. ლარით ,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 138,9 ათ.ლარით, ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები დაფინანსდა 35,0ათ. ლარი, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯია 33,5 ათ.ლარი, კომუნალური მომსახურეობა დაფინანსდა 88,6 ათ.ლარით, ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 57,7ათ.ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 316,2 ათ.ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდა 2,4 ათ.ლარით. აღნიშნულ პრიორიტეტში გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია იმით , რომ საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების ასახვა ბიუჯეტში ხორციელდება სრული მოცულობით ეტაპობრივად(გამომდინარე განკარულებების ცვლილებიდან) , ხოლო ინფრასტრუქტურული ობიექტების შესრულება ხორციელდება თანახმად სახელმწიფო შეყიდვების კანონისა. ბოლო პერიოდში ხშირია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შესაბამისად გამოცხადებული ტენდერების გასაჩივრების ფაქტები პრეტენდენტის მხრიდან ერთი და იგივე მიზეზით(ჯარიმის %) და ხშირ შემთხვევაში არ ხდება საჩივრის დაკმაყოფილება , ის კი იწვევს პროცესის გაჭიანურებას,მითითებულ პრიორიტეტში ზემოთ მითითებული პრობლემის გარდა(გრანტებთან დაკავშირებით),რამოდენიმე პროექტი დასრულების პროცესშია, გარკვეულ პროექტების შესრულება ახალი დაწყებულია, ნაწილი ხელშეკრულების გაფორმების პროცესშია და ყოველივე ეს ნიშნავს, რომ სამუშაოები აქტიურ ფაზაშია როგორცა საამშენებლო მიმართულებით,ასევე სარეაბილიტაციო ხაზით.

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტში ძირითად მომსახურებას ახორციელებს ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“, რომელმაც სუბსიდიის სახით მიმდინარე წლის 6 თვეში ფაქტიურად მიიღო 504,0ათ,ლარი , რაც გეგმის 506,4ათ.ლარის 99,5%-ია.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები ათვისებულია 95,6%-ით (გეგმა 1195,6ათ ლარი, ფაქტი - 1143,3 ათ. ლარი). მათ შორის: სკოლამდელი განათლება დაფინანსდა 95,6%–ით (გეგმა 1126,3ათ. ლარი, ფაქტიური – 1076,3 ათ. ლარი). მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი დაფინანსდა 96,8 %–ით (გეგმა –569,3ათ. ლარი, ფაქტიური 67,1 ათ. ლარი).

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები უნდა დაფინანსებულიყო 1993,0 ათ.ლარით და დაფინანსდა 1869,7 ათ ლარით,გეგმა შესრულდა 93,8%-ით. მათ შორის: ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 97,2%-ით, (გეგმა 266,7 ათ.ლარი, ფაქტი 259,1ათ.ლარი), საფეხბურთო კლუბი „ხვამლი„ დაფინანსდა 96,8%-ით (გეგმა 142,2ათ.ლარი, ფაქტი 137,7ათ.ლარი),ფრენბურთის კლუბი ცაგერი დაფინანსდა 84,2%-ით (გეგმა 163,2ათ.ლარი,ფაქტი 137,4ათ.ლარი) კულტურის ცენტრი დაფინანსდა 96,1%-ით, (გეგმა 273,3ათ. ლარი ფაქტი 262,5 ათ.ლარი), ისტორიული მუზეუმი დაფინანსდა 86,4%-ით (გეგმა 160,7ათ. ლარი, ფაქტი 138,9ათ.ლარი) სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 91,4%-ით (გეგმა 77,9თ.ლარი, ფაქტი 71,2ათ.ლარი) სამხატვრო სკოლა დაფინანსდა 93,4%-ით (გეგმა 51,3 ათ. ლარი, ფაქტი 47,9ათ.ლარი), მთავარი ბიბლიოთეკა დაფინანსდა 87,9 %– ით (გეგმა - 170,0 ათ ლარი, ფაქტიური - 149,4ათ. ლარი),კულტურული ღონისძიებების 97,6%-ით, (გეგმა 78,0ათ.ლარი, ფაქტი 76,1ათ.ლარი), რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 20,8ათ.ლარი ფაქტი 20,8 ათ.ლარი), ,ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი" დაფინანსდა 98,7%-ით (გეგმა 103,0ათ.ლარი, ფაქტი 101,7ათ.ლარი),ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 93,2%-ით,(გეგმა 50,2 ათ.ლარი, ფაქტი 46,8ათ.ლარი),ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი დაფინანსდა 98,8%-ით (გეგმა 293,4ათ.ლარი,ფაქტი 289,8 ათ.ლარით), ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 95,2%-ით (გეგმა 99,5ათ.ლარი, ფაქტი 94,7ათ.ლარი). დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული“მუზეუმი ღია ცის ქვეშ“ დაფინანსდა 86,1 (გეგმა 38,8ათ.ლარი, ფაქტი 33,4ათ.ლარი).

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების ხარჯები დაფინანსდა 87,1%-ით (გეგმა 697,2ათ.ლარი ფაქტი 607,3ათ.ლარი), მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 95,0%-ით (გეგმა 96,2 ათ. ლარი, ფაქტი 91,4 ათ.ლარი) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა დაფინანსდა 86,8%-ით (გეგმა 524,8 ათ. ლარი, 455,6ათ.ლარი). უფასო სასადილოები დაფინანსდა 79,2 %-ით (გეგმა 76,3ათ.ლარი ფაქტი 60,4ათ. ლარით). უნდა აღინიშნოს,რომ აღნიშნულ პროგრამაში მოხდა პროგრამების დამატება და ზოგიერთ გადაცემ პროგრამაში თანხების გაზრდა, თანახმად, სოციალური დახმარების გაცემის წესის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
/კენჭისყრაში მონაწილება არ მიიღო ,,ცაგერი საქართველოსთვის“ ფრაქციის წევრებმა:
გ. კოპალიანმა, დ. მურცხვალაძემ, ი. ყურაშვილმა/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ლუხვანოში მდებარე 900.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.01.23.176) კერძო მესაკუთრისაგან შესყიდვის შესახებ.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ლუხვანოში მდებარე 900.00 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.01.23.176) კერძო მესაკუთრისაგან შესყიდვის შესახებ“ აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სოფელ ზარაგულის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სოფ. ქვედა ლუხვანოსა და სოფელ ზარაგულას შორის დამაკავსირებელი გზის დამეწყრილი ნაწილის სანაცვლოდ ალტერნატიული მიწის მოძიება, სადაც გაიჭრება სოფლის გზა.

მუნიციპალიტეტმა შეისწავლა აღნიშნული პრობლემა და აუცილებელ საწიროებას წარმოადგენს 900.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შესყიდვა კერძო მესაკუთრისგან, რითაც გადაიჭრება სოფ. ზარაგულის სასოფლო გზის პრობლემა. აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესყიდვისათვის საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

3. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ განმარტა, რომ რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ,,ე. დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ,,მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების თანდართული წესის მე-2 მუხლის ,,ი“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი იქნეს შემდეგი ქონება, შემდგომი პრივატიზების მიზნით:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსპლუატაციისთვის უვარგისი მოთუთიებული რკინის სანაგვე ურნები საერტო წონით - 4 500 (ოთხიათას ხუთასი) კილოგრამი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

4. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ,,ე. დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ,,მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების თანდართული წესის მე-2 მუხლის ,,ი“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია შევიდეს ცვლილება საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ და პრივატიზაციის გეგმაში შეტანილი იქნეს შემდეგი ქონება, შემდგომი პრივატიზების მიზნით:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსპლუატაციისთვის უვარგისი მოთუთიებული რკინის სანაგვე ურნები საერტო წონით - 4 500 (ოთხიათას ხუთასი) კილოგრამი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი